ხელშეკრულება #MDF/D/G/088-2018
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 19 დეკემბერი 2018 წ.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.2 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.3 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.4 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები
2.1 ერთის მხრივ, **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის გიორგი შენგელიას სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „ვესტა"** (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ემა ჭარაიას სახით,
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს!" ქვეპუნქტის თანახმად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

3. ხელშეკრულების საგანი და ხელშეკრულების ღირებულება
3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს 70 (სამოცდაათი) ცალი მისალოცი ბარათი (შემდგომში საქონელი), ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს აღნიშნული საქონელი და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
3.2. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება მიმწოდებლისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით შეადგენს 98 (ოთხმოცდათვრამეტი) ლარს, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").
3.3 საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს 1,40 ლარს.
3.4 კლასიფიკატორის კოდი: CPV22320000 - მისალოცი ბარათები.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები
4.1. მისალოცი ბარათები.
4.2 ზომა: ა6; 280 გრ. პერლამუტრისებრი ქაღალდი.

5. საქონლის მიწოდების პირობები
5.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.
5.2 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 150ა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
6.1.საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.
6.2.შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი არის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ანა არაშიძე.

7. ანგარიშსწორების პირობები
7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
7.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა ვალდებულებები
8.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.1.1. შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
8.1.2. მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
8.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

8.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება.

8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. მხარეთა უფლება

9.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

9.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9.2.2 უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ
გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2 ხელშეკრულების 14.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

15.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ინსპექტირების პირობები

16.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტში მითითებული პირი.

16.2. წინამდებარე ხელშეკრულების 16.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

16.2.1. მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

16.2.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

16.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან" ერთი ეგზემპლარი „მიმწოდებელთან"

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ საქართველოს მუნიციპალური	შ.პ.ს. „ვესტა"
განვითარების ფონდი	ქ. თბილისი 0112, ვანის ქ.N4
ს/კ 206074193	ს/კ: 202159788
ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N150	ს.ს. „საქართველოს ბანკი"
სახელმწიფო ხაზინა;	BAGAGE 22;
ბანკის კოდი: TRESGE22;	ა.ა. GE03BG0000000123845700
გიორგი შენგელია	ემა ჭარაია
აღმასრულებელი დირექტორი	დირექტორი

მიღება-ჩაბარების აქტი
#MDF/D/G/088-2018 ხელშეკრულებაზე

ქ. თბილისი **20 დეკემბერი 2018 წ.**

ერთი მხრივ, **ს.ს.ი.პ. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**, წარმოდგენილი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტის ანა აროშიძის სახით და მეორე მხრივ, **შ.პ.ს. „ვესტა“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ემა ჭარაიას სახით, ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 19 დეკემბერს ხელმოწერილი ხელშეკრულების **#MDF/D/G/088-2018** ფარგლებში მიმწოდებელმა შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და შემსყიდველს მიაწოდა 70 (სამოცდაათი) ცალი მისალოცი ბარათი.

მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი მისალოცი ბარათების ღირებულება ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს 98 (ოთხმოცდათვრამეტ) ლარს.

შემსყიდველის სახელით **ს.ს.ი.პ. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** ს/კ 206074193	მიმწოდებლის სახელით **შ.პ.ს. „ვესტა“** ს/კ 202159788
ანა აროშიძე **უფროსი სპეციალისტი**	ემა ჭარაია **დირექტორი**

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 19 დეკემბერი 2018 წ.

ვადასტურებთ, რომ შ.პ.ს. „ვესტა“-ს მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
შესყიდვების სამსახურის უფროსი

ირაკლი ფარესიშვილი ----------

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი

ვასილ ანდღულაძე ----------

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

ანა არუშიძე ----------

6181-მ-3-201812191433

N 6181-მ 19/12/2018

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორს

ბატონ გიორგი შენგელიას

ამავე ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტის

ანა არუშიძის

მოხსენებითი

ბატონო გიორგი,

საახალწლოდ დონორებსა და მთავრობის წარმომადგენლებს ვუგზავნით მისალოც ბარათებს ფონდის აღმასრულებელი დირექტორის სახელით. მისალოცი ბარათების ღირებულებაა 98 ლარი, რომელიც უნდა გამოიყოს ფონდის ბიუჯეტიდან.

გთხოვთ განახორციელოთ შესყიდვის პროცედურები.

პატივისცემით,

ანა არუშიძე

საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსი სპეციალისტი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

შპს "ვესტა",საიდენტიფიკაციო კოდი 202159788,თბილისი 0112 ზურეთლის 11, სს "საქართველოს ბანკი"	ანგარ.№	GE03BG0000000123845700
	ბანკის კოდი	BAGAGE 22

ინვოისის №:

თარიღი: 12/18/2018 4:59:33 PM

დამკვეთი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

ციფრული ბეჭდვ

C	თარიღი	შეძვეთის საბანი	რაოდენობა	ფასი	avansi
23356	12/18/2018	ბარათი	70	98	0

სულ: **98** ლარი

სულ: 98 ლარი

ხელმოწერა

ბეჭედი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
47172748031317

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N170145593

რეგისტრაციის თარიღი
14.02.2017 წ

ნოტარიუსი: დავით შეფარიძვილი
მისამართი: თბილისი, აკ.წერეთლის გამზ 110
ტელეფონი: 2477029, 598262299, 593262299

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის თოთხმეტ თებერვალს, მე, ნოტარიუს დავით მეფარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N110-ში, მომმართა ვლადლენა გაიაზოვმა, რომელმაც გაგვაცნო, რომ არის შპს "ვესტა"-ს (ს/კ: 202159788) წარმომადგენელი და სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მისცემენ ემა ჯარიას. მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ვლადლენა გაიაზოვა (დაბ. 30.04.1976წ. პმ №01005009910, მცხ.თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 11) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, და ვიხილეთ, რომ მას ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გააჩნია. მე შევამოწმე ვლადლენა გაიაზოვის უფლებამოსილება წესდებით და ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირთა რეესტრიდან შპს "ვესტა"-ს შესახებ, განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მიმართვის თარიღი: B16105740, 25/07/2016 11:23:54 ს/კ: 202159788, იურიდიული მისამართი: საქართველო ქ. თბილისის დიდუბის რაიონში წერეთლის გამზ. №11 ბ. 7; შემდეგ შეკითხვა მივეცი მინდობილობა, რომელიც ხელმოწერილია ამ პირის ნებისმიერ დროს გაუქმების ან მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩვენი თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მინდობილობა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის თოთხმეტ თებერვალს მე, ვლადლენა გაიაზოვ (დაბ. 30.04.1976წ, პმ №01005009910, მცხ.თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 11), როგორც შპს "ვესტა"-ს (ს/კ: 202159788) წარმომადგენელი, შემდეგში „მარწმუნებელი", ამ მინდობილობით ემა ჯარიას (დაბ.02.07.1979წ, პმ №62001005709, მცხ. სოხუმი ნოსაძის ქ. N 52 ბ. 18), (შემდეგში „რწმუნებული") ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

რწმუნებული შპს ვესტას (ს/კ: 202159788) წარმოადგენს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, მასკუმთან, სამეწარმეო/საფინანსო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში მარწმუნებლის საფინანსო და გეგმიერ-საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მარწმუნებლის სახელით მოიტანოს განცხადება ნებისმიერ საბანკო და საკრედიტო დაწესებულებაში, მიიღოს ამ დაწესებულებებიდან ნებისმიერი დოკუმენტი, ფასიანი ქაღალდი, ჩეკი. მოაწეროს ხელი მარწმუნებლის სახელით. რწმუნებული უფლებამოსილია მართოს მარწმუნებლის საბანკო ანგარიშები, განახორციელოს ამ ანგარიშებზე ნებისმიერი საბანკო ოპერაციები (გადარიცხვები, განაღდება, კონვერტაცია და ა.შ), გამოიტანოს/შეიტანოს თანხები. მოითხოვოს საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხების გადანაწილება/კონვერტირება, განსორციელებული ოპერაციების გაუქმება. რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეავსოს, ხელი მოაწეროს, მიიღოს ან/და წარადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი, ცნობა, ამონაწერი, ჩეკი, სანაღი/საგადასახადო დეკლარაცია, ხელი მოაწეროს გარიგებებს, ხელშეკრულებებს, ნებისმიერი დოკუმენტაციას, მიღება-ჩაბარების აქტებს, ფორმა N2-ს, შეეძინოს, მიიღოს, გადაზიდოს ან/და გასცეს შპს ვესტას (ს/კ: 202159788) მიმართვა ქონება, გადასახადის/დაბრუნების დარიცხული გადასახადები (მ.შ. სანაღი ან/და საგადასახადო), ხელფასები, ჯარიმები, იყოს წარმომადგენელი შემოსავლების სამსახურში, სანაღი ორგანოებში, მიიღოს და განაცალოს ანაზღაურების სახელზე გამოგზავნილი ტვირთები. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

რწმუნებულს უფლება აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს/პირებს თავისი მუხედულებისამებრ.

მინდობილობა გაცემულია 2 წლის ვადით და ძალაშია ორი ათას ცხრამეტი წლის თოთხმეტი თებერვლის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დავით მეფარიშვილის სანოტარო არქივში და დაერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირთა რეესტრიდან შპს "ვესტა"-ს შესახებ, განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მიმართვის თარიღი: B17007691, 23/01/2017 11:03:16. წესდება დაცულია ნოტარიუს დავით მეფარიშვილის სანოტარო არქივში (რეგ N160839243)

"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ხარჯების და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მიმსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების საფუძველზე გადახდილია: 10 ლარი 31.7 შუალის საფუძველზე, 2 ლარი 39.1 მუხლის საფუძველზე, სულ გადახდილია 12 ლარი;

ხელმოწერა

ნოტარიუსი

დავით მეფარიშვილი